გეგმათა კომპოზიცია მკაფიო და სადაა. სადგომა მოხერხებული განლაგება სასურველ პირობებს ჰქმნის როგორც მოსამსახურეთა, ისე მომსახულთა ნორმალური მუშაობისათვის.

მთავრობის სახლის მთელი კომპლექსის (ძველი და ახალი კორპუსების) კომპოზიციის ცენტრს პროპილევების გამჭოლი ღერძი წარმოადგენს. ამ ღერძით დამყარებულია კავშირი შენობასა და გარემომცველ სივრცეს შორის, მთლიანი ორგანიზმის დაუმღვლეად მოხდა ფუნქციური დიფერენციაცია შემაღლებულ ჯგუფთა შორის; გამოიყო ოთხივე მხრიდან გარშემორტყმული შიდა ეზო, როგორც დაგეგმარების ერთობლივი ძირითადი ელემენტი, რომელიც კლიმატური და რელიეფური პირობების გათვალისწინებითაა შექმნილი. შინა კომპოზიციური ღერძის ეს ფორმა გამართლებულია არქიტექტურული ორგანიზმის უტილიტარული დანიშნულებით და იმავე დროს ესიტყვება შენობის მაღალ იდეურ შინაარსს, — იმ აზრს, რომ შენობაში მოთავსებული მაღალი დაწესებულებები საყვიველთაოდ მისაწვდომია.

მთავრობის სახლის ავტორებმა მიაღწიეს გარე სივრციდან შენობის შიდა სივრცეზე პარაზიულ გადასვლას. ამ მხრივ განსაკუთრებით ლოკურია შენობის მთავარი შესასვლელების მოწყობა სწორედ პროპილევების ღია ეზოდან. პროპილევების სივრცობრივი გადაწყვეტა ჰქმნის გარე სივრციდან შინაგანზე თანდათანობით გადასვლის თავისებურ საფეხურს. ადამიანი ჯერ არ არის შენობაში შესული, მაგრამ უკვე არქიტექტურული ნაგებობის „მაორგანიზებული გავლენის“ ქვეშ იმყოფება. აქედან შენობაში შესვლისას მას ხედება მაღალი, ნათელი ვესტიბული ერთიანი სივრცით, რის შემდეგ იგი შედის სამუშაო ოთახებში, ე. ო. აქ სივრცობრივი გადაწყვეტილი თანდათანობით აღქმა ხდება.

როგორც ითქვამს, წინა კორპუსის სადგომა შორის მთავარი ვესტიბულები წარმოადგენენ ცენტრალურ კვანძს, რომლის გარშემო ჯგუფდება სხვა ოთახები. ვესტიბულების მნიშვნელობა ზანსამსულია როგორც მათი ადგილით გეგმაში, ისე სხვადასხვა მხატვრული ხერხებითა და საშუალებებით.

მინისტრთა საბჭოს ვესტიბულში მკაფიოდ ვლინდება კომპოზიციის ვერტიკალური ღერძი, რომელსაც ემორჩილება მთელი დაგეგმარება.

უხეი სინათლისა და შუქის ნაკადი ზემოდან, არქიტექტურული ელემენტების მოცულობანი, სვეტები, მათ შორის თავისუფლად ჩადგმული გამჭვირაველ მსუბუქი პარაპეტებით — მთელი ეს არქიტექტურა „სუნთქავს“ ჰაერით. ყველაფერი ეს დიდად უწყობს ხელს სიდიადისა და საზეიმო განწყობილების შექმნას.

მთვე ვესტიბული უმაღლესი საბჭოსი — ემსახურება როგორც ამ კორპუსის სამუშაო ოთახებსა და კაბინეტებს, ასევე სხდომათა დარბაზს, რომელიც მთელ შენობაში ხალხით ყველაზე მეტად დატვირთული სადგომაა. თუ მინისტრთა საბჭოს ვესტიბული მაინც მკაცრ საქმიან სახეს ატარებს და მსახველს იჩივებს თავისი არქიტექტონიკობით, უმაღლესი საბჭოს ვესტიბული — უფრო დეკორატიულია. კონსტრუქციული სიცხადესთან ერთად აქ დიდი ყურადღება ექცევა მორეულიანობას.

საზეიმოდ არის გადაწყვეტილი სხდომათა დარბაზიც, რომელიც 900-ზე მეტ კაცს იტევს. აქ პლასტიკური საშუალებების ორგანოვლად უფროდებ დაბრახოს საერთო არქიტექტურის და აბლიერებს იდეური ჩანაწერის მილიანად გასწავს.

მთავრობის სახლის ინტერიერის, სადგომა მხატვრულ სახეს განსაზღვრავს მათი მნიშვნელობა შენობის საერთო იდეურ-მხატვრულ ჩანაწერში. ამის მიხედვით ხდება მათი დამუშავება. ყველაზე მთრე დაბრახება იქ სადგომებს, რომლებიც უფრო მეტად არიან დატვირთული ხალხით (სხდომათა დარბაზები); რომელივანაც ხდება მომსახულთა რეკულერება შენობაში (ვესტიბულები) და რომლებიც მნიშვნელოვანია იქ მიმდინარე მუშაობისდამხმედეით (კაბინეტები და სხვ.).

მთავარი კორპუსი — ერთიანი არქიტექტურული ორგანიზმია. ფა-



მთავრობის სახლის გარეთა ანფალადა

სადა ძირითადი. წამყვან თემას მონუმენტური თაღები წარმოადგენს. ამ შენობაში იგი გვევლინება, როგორც თავისებური ორდინი. საერთო კომპოზიციოში, ფასალა გადაწყვეტასა და დანაწევრებაში, შიდავ და სახიდ ელემენტთა გამოვლინებაში იგი მთავარ როლს თამაშობს, მკაფიოდ საზღვრავს მთელი არქიტექტურული მოცულობის მასშტაბს. წარმართავს შენობის მხატვრულ სახეს, თაღები აერთიანებს შენობის იდეურ-მხატვრული სახის გამხსნელ ყველა კომპოზიციურ ხერხს (მაღალი მოჯიჯა, პროპილევები, საზეიმო კიბეები და სხვ.). სწორედ ამიტომ უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების ის ფუნქციური დიფერენცირება, რაც საფუძვლად უდევს გეგმას, არ იწვევს შენობის ნაწილთა ურთიერთმოწყვეტას, შენობა აღიქმება, როგორც ორი მასივისაგან შედგენილი ერთი ორგანული მთლიანი.

შენობის ფასალი ერთ მთლიან სიბრტყეს წარმოადგენს. თაღების თანაბარზომიერი მადები და სიმაღლე ფასლის მთელ სიგრძეზე კარგად არის „ნაწერილი“ ქუჩის დინამიკა და დინამიკური მომენტ შეატქებს მასში. ამასთან ერთად ავტორები, განსაკუთრებულ მახველს უსვამენ ფასლის ცენტრს, სადაც შენობაში შესასვლელი მოწყობილი, მაგრამ ისე კი, რომ შენობის მთავარი ფასალის ერთიანი სიბრტყე არ დარ-



არქიტექტორი ვიქტორ კოვრანინი

ლევს, რომ ფსადის დანაწევრება პროსპექტზე თანაბარი რიტმით ვითარდებოდა.

ცენტრის გამოყოფის მთავარ ელემენტს ფორმონი და საერთო კომპოზიციის გამჭოლი ღერძი შეადგენს. როცა შენობას პერსპექტივაში აღვიცქვამი, ცენტრალური სივრცობრივი ღერძი არ ვლინდება და ცენტრზე მახვილს ფორმონი სვამს. მაგრამ ამ ამოცანის გადასაწყვეტად ე. ი. ცენტრის მკვეთრად გამოსაყვინდა სხვა არქიტექტურული ელემენტებიცაა მიმართული. ემოციური ზემოქმედება თანდათანობით იზრდება ცენტრისაკენ. ფორმონზე გადასვლა არქიტექტურული ლოკაციათა მზადდება: დამავიკრავინელი, მოჩუქთობთებული კარნიზი ცენტრთან წყდება, ხოლო ყრუ პარაპეტის სადა კარნიზი ცენტრისაკენ უფრო ღრმადა შეპირილი, რაც ჰქმნის შემდეგ საფეხურს: აქედან იწყება თვით ფორმონის არე კარნიზების რიტმული შეწყვეტა ხელს უწყობს ცენტრის გამოვლენას, ამავე ღრის ორგანულად აკავშირებს. ფორმონის არეს მთელი ფსადის კედლის სიბრტყესთან. ფორმონის რელიეფური გამოსახულება მკაფიოდ იძლევა საბჭოთა საქართველოს, როგორც მოწინავე სოფლის მურწინებისა და ინდუსტრიული ქვეყნის სახეს.

ფსადის ფორმალური კომპოზიცია გადაწყვეტილია მაკარი, მაგრამ მეტყველი ფორმებით. ყოველი ელემენტი, თუ დეტალი გამიზნულია და თავის როლს თამაშობს ფორმათა საერთო ანსამბლში. ქვის კედლის თავისუფალი, სხვა სიბრტყე სილამძეს ანიჭებს შენობის არქიტექტურას. რაკი ავტორები მთელ ფსადს ერთ მილიან სიბრტყედ წარმოგიადგინენ, ისინი კაპიტულებით არ ჰკვეთენ პორიზონტალურად ბოძებს. ბოძთა შერევი ავრქელებს კედლის სიბრტყეს. თავდის არქიტექტურული თემა ექვემდებარება მთელი ფსადის ერთიანი კედლის სიბრტყით გადაწყვეტის ამოცანას.

ლოჯიის კედელი, მიუხედავად იმისა, რომ დაცხრილილია ფანჯრე-

ბით, აგრეთვე კედლის სიბრტყის თავისუფლად მოცემის ამოცანას წვევებს. ფანჯრები შეწყვილებულია. კედლის განაპირა მხარეებზე შენობას ყრუ კედლის სიბრტყე მიკვდება.

შენობის ფსადების მორთულობა სადა და მაკარია. ამ მხრივ მხოლოდ შესასვლელია მკვეთრად გამოყოფილი. მაკარ, თავშეკავებულ და ამავე ღრის სათემო არქიტექტურულ ფორმებს ავტორებმა მხატვრული კონტრასტი შეუქმნეს, რითაც უფრო ძლიერ მხატვრულ ზემოქმედებას მიალყის.

ორივე პორტალის ზოგადი ზომები ერთნაირია, მაგრამ მათი კონკრეტული გადაწყვეტა, კომპოზიცია განსხვავებულია. თითოეული პორტალი ინდივიდუალურ სახეს ატარებს, რითაც კვლავ არის ხაზგასმული შენობის შემადგენელ კორპუსთა სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულება. პორტალთა ერთნაირი სიმაღლე, პროპორციები და მთელ ფსადთან შეფარდება აადვილებს ღია ეზო-ვესტიბილის მხატვრული სახის თავისუფალ გაგებას.

შთავიზების სახლის გვერდის ფსადებს ერთნაირი კომპოზიცია აქვთ. მათი არქიტექტურა შეიღწოდ უწყვირდება მთავარი ფსადის გადაწყვეტას. ფსადთა ძირითად გამაერთიანებელ ელემენტს მაღალი თაღი წარმოადგენს, მაგრამ თუ პროსპექტის მხრიდან თაღი მოცულობითი ფორმითაა მოცემული, გვერდის ფსადებზე იგი დეკორატიულია. ამით ხაზი ესმება შენობის საერთო მოცულობაში პროსპექტისაკენ მიმართული ფსადის უმთავრეს როლს.

გვერდის ფსადებზე ყველაზე რთულ კანს წარმოადგენს გადასასვლელი ნაწილი, რომელიც აერთებს ახალსა და ძველ კორპუსებს. ავტორები სწორედ მოიქცნენ, როცა ეს გადასასვლელი ნაწილი ერთგვარად გამოყვეს, რათა შეერბოლებინათ ძველიდან ახალ კორპუსზე გადასვლა. მაგრამ მათ ძველი კორპუსის ფსადთან შეერთების, გადახმის ამოცანა ფაქტურად არც დაუსულა. ავტორები არ მთვრიდნენ სხვადასხვაგვარად გადაწყვეითა ფსადთა არქიტექტურული სახე, არ მთვრიდნენ დატოვებინათ სხვადასხვა სიმაღლის კორპუსები და სხვ. ეს თამამი გადაწყვეტა გამართლებულია, რადგან ძველი კორპუსის არქიტექტურაში კონსტრუქციისტული, ფორმალისტური გადმონაშთები დიდად მოქმედებდა შენობის საერთო არქიტექტურულ სახეზე.

შეიძლება ითქვას, რომ ავტორებმა მთავარი კორპუსის გვერდ გადაწყვეტის ძველ კორპუსთან კავშირი, ხოლო ახალი და ძველი კორპუსების ფსადები შევსებულად დაუპირისპირეს ერთმანეთს. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ჩვენ ამ კონკრეტულ პირობებში სწორად მიგვაჩნია (საფუნქციოს პრობლემების ყველა ავტორიც ამ გზას იმე).

იმ მიზნით, რომ მკაფიოდ გამოემკვადებინათ შენობის დიდი მნიშვნელობა საერთო განაშენიანებაში, ავტორებმა იგი ღრმად შეუიეს ქუჩის ხაზიდან.

განაშენიანების სიმაღლის დაცვით, შენობის დიად და მონუმენტურ ფორმებში გადაწყვეტით, ქუჩის სიღრმეში მისი შეწყვეტი მთავრობის სახლის ავტორებსა შეძლეს პროსპექტის არქიტექტურაში მთავრობის სახლისათვის წამყვანი როლი მიენიჭებინათ. შენობის ამაღლებული მამულებურობასთან ერთად, მათ ქანდაკებისა და არქიტექტურის სინთეზისაკენ მიმართეს. თმამატკერი ბარელიეფი და ქანდაკებათა ჯგუფები მტკამონეშეკვლებას ანიჭებენ, ძლიერ იდუარ მახვილს უსვამენ შენობას. საქართველოს სსრ მთავრობის სახლის არქიტექტურას, რა თქმა უნდა, აქვს ცალკეული ნაკლებანებები: მასში ყველაფერი თანაბარი მხატვრული ღირებულებისა არ არის.

სადავოა, მაკალითად, კედლის სიბრტყისაკენ ფორმონის გამოყოფის ხერხი. ფორმონის არე კედლის სიბრტყისაკენ გამოყოფილია მცირე კრონშტეინებზე დაყრდნობილი სარტყლით. კრონშტეინები აქ უცხოდ გამოიყურებიან, რადგან ფსადის სხვა ელემენტებში ისინი ირე პოულიზენ ფორმითა და მასშტაბით რაიმე გამომსახილს.

შენობის მთავარი ფსადი მეტწილად ჩრდილშია, ამიტომ რელიეფი ღრმად არის დამუშავებული და კარგად იკითხება. მართალია, მზის სხივები რელიეფს გარკვეულ სიკვეთეშიცხვლობას ანიჭებენ, მაგრამ მზის გადახრის შედეგ ეფექტი ძლიერ უსვამდა, რადგან ახა რელიეფის ნახატი ზედმეტად გრავიულობა. თვით გერბი მონ უფრო მოცულობითი-სკულპტურული ყოფილიყო, ფორმონის კომპოზიციაში მისი მარტგანიზებადი როლი ამაღლირდებოდა.

ფასადის ლოჯიის კედლებზე კარ-ფანჯრების ზომები, თავისუფალი კედლის სიბრტყესთან შედარებით, მცირეა. მიუხედავად იმისა, რომ თვით სადგომთათვის ისინი საემარის სინათლეს იძლევიან, ფსალზე ვიწროდ ჩანან. ეს, ცხადია, მოქმედებს საერთო შთაბეჭდილებაზე. არ იყო საჭირო განაპირა შეწყვილებულ ფანჯრებში იპოსტების გვერდით კიდევ კედლის სიბრტყის დატოვება. ზედა ფანჯრების ჩარჩოს მიმრგვალებული თავებიც ოპტიკურად ავირობებს ფანჯრების გაზარტებს. აივნების პორიზონტულ ზოლს შექმლავს ამ მომენტის ნაწილობრივ გასწორება, რომ ქვის მოაჯირი გადატეხით არ გადადიოდეს კედელზე, რაც ისევ ზედმეტად ანაწევრებს ფორმას და ხერხულების პროპორციას ვერ აწონასწორებს.

მინისტრთა საბჭოს პორტალს მხატვრული დამთავრებულობა აქვია. გვერდებზე რეი თითქოს შემთხვევით მოაფრდება, ზვევიდან გაკეფებული კარნიზიც კი ვერ აძლევს პორტალს სრულ სახეს.

უმაღლესი საბჭოს პორტალის ორნამენტული ჩარჩო ქვევითა კუბზევში შეინიკენ უხვევს და იქვე წყდება. აქ ორნამენტის ნახატი თითქოს შემთხვევით არის ჩამოჭრილი, მოკლებულია ბუნებრივობას და ამიტომ ვერ სტოვებს სასურველ შთაბეჭდილებას.

გვერდის ფსალბზე როგორც დამავერვინებელი, ისე პარაპეტის კარნიზები თავმოყვა შეწყვეტილი. აუცილებლად საჭირო იყო პარაპეტის კარნიზის გაგრძელება მაინც ბოლომდე. ფასადის მთელ სიგრძეზე, რაც ფასადს მეტ დამთავრებულობას მიანიჭებდა. აქ კამათს იწვევს ცოკოლის ხაზის გადაწყვეტილება.

ამავე ფსალბზე პორტალის თესპართების შესრულება და პორტალის საფურცლებრივი დანაწევრება სქემატური და მშრალია, რაც ხელს უშლის მას მჭიდროდ დატყავირდეს შენობის საერთო არქიტექტურას.

უკოს ფსალბზე ბოძებში სავენტილაციო ხერხელების მოთავსება მოკლებულია ყოველგვარ არქიტექტურულ ლოჯიკას და ბოძებს ატექტონიკურს ხდის.

შეიძლება აღინიშნოს ზოგიერთი სადავო რამ ინტერიერის გადაწყვეტაშიც, მაგრამ მიუხედავად ამ შენიშვნებისა, შენობის არქიტექტურა ინარჩუნებს მთლიანობას.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის ავტორებმა შექმნეს ღრმა ეროვნული, სოციალისტური სინამდვილის შესაფერი არქიტექტურული ნაკეთობა. მიუხედავად იმისა, რომ მათ უხვად გამოიყენეს როგორც ნაციონალური, ისე უცხოური მემკვიდრეობა, ამ შენობას ვერავითარ უშუალო ანალოგიას ვერ მოუწახვებ წარსულ ეპოქათა არქიტექტურაში. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც საქართველოს სსრ მთავრობის სახლის არქიტექტურაში ახალი საქართველოს სოციალისტური სინამდვილეა ჩაქსოვილი.

ახალი შინაარსის შესაფერი მხატვრულ ფორმათა ძიებას ავტორები ღრმად აუვარებენ კულტურულ მემკვიდრეობას, მის კრიტიკულად შეფასებას. ისინი ეროვნული, ქართული არქიტექტურის ტრადიციებთან ერთად იყენებენ მორჩინვე რუსულ კლასიკურ მემკვიდრეობას.

რომ მივახლოს ავტორებმა თანამედროვე ნაკეთობის ნამდვილ ნაციონალურ სახეს? შენობის ფსალბზე ვერ დაასახელებთ ვერც ერთ არქიტექტურულ ფორმას, რომელსაც შეიძლება მოეძებნოს პირდაპირი პარალელი ძველ ქართულ არქიტექტურაში, მაგრამ ამავე დროს იგი ნამდვილად ქართული არქიტექტურის მაგალითია.

ავტორებმა არ მიხვედნ ხელი ქართული სიტორიული არქიტექტურის ფორმებში შენობის „გაფორმებას“, ისინი ღრმად ჩასწვდნენ ჩვენი არქიტექტურის არსს და შეძლეს მისი ახლებურად გახარება. სწორედ ამან უზრუნველყო მათი შემოქმედებითი გამარჯვება.

ცნობილია, რომ „ქართული მონუმენტური ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი სიმძიდრე, ერთ-ერთი ძირითადი ღრუბეულებაა კედელი, ქვის მტიკეც კედელი“. გამოხატავდა რა ფსალბზე გემგის ფუნქციურ გადაწყვეტას შესატყვისი ფორმებით, ძველი არქიტექტორი იძლეოდა ერთიანი მოცულების, თითქოს ქვის დიდი მასივსაგან გამოკვეთილ ნაკეთობას, რომლის ძირითადი და, გულზე ზედაპირზე ხუროთმოძღვარი ვარკვეული არქიტექტურული ლოჯიკის სვამდა დეკორატიულ ელემენტებს, ხაზს უსვამდა ამა თუ იმ მომენტს კედლის



არქიტექტორი გიორგი ლეივა

საერთო კომპოზიციამ და ამით ავლენდა მთავარს და არსებობს მასში.

თანამედროვე არქიტექტურაში, შენობის სხვაგვარი უტილიტარული დანიშნულების გამო, კედლის მთელი სიბრტყე კარ-ფანჯრების ქსელითა დაფარული და ამიტომ ძნელია ამ ტრადიციის შენარჩუნება.

მთავრობის სახლის არქიტექტურაში ავტორებმა გამოიყენეს კლასიკური ხუროთმოძღვრების ძირითადი ფორმა-კოლონადა. მაგრამ ახლებურად წარმოადგინეს იგი არქიტექტურულ გადახურვას მათ ქართული მონუმენტური არქიტექტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფორმა — თაღი ამხობინეს; მათ კლასიკური ორდერული სისტემათი არ დაანაწევრეს შენობა და შექმნეს თავისებური ორდერი — თაღედის სახით. თაღი წარმართავს შენობის არქიტექტურულ სახეს და ჰქმნის ძირითად დანაწევრებას. თვით თაღების თესპად ავტორებმა ახლებური ელერა მიანიჭეს. კედლის სიბრტყე რომ არ დარღვეულიყო მათ, როგორც ავდინშეთი, გამოიყენეს სრულიად ახალი ხერხი — კალიტელი არ გადაპრეს სვეტს და ამით შენობის ცოკოლამდე კედლის ერთიანი სიბრტყის შთაბეჭდილებას მაილწეის.

ხუროთმოძღვრება კედელი დეკორატიული ელემენტების ძუნწი, თავშეკავებული მოხმარებით გადაცოცხლეს. ზევით კედლის სიბრტყეს პორიზონტულად მიჰყვება ქართული მცენარეული ორნამენტით შემკული დამავერვინებელი კარნიზი. კედელი მოაგრდება აგრეთვე ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი სადა კარნიზი. ზურვების კუთხეებში აყოლებულია მიმრგვალებული გვერდის სვეტები, რომლებიც ქართული არქიტექტურის კედლის დეკორატიულ სტრუქტურს მოუკავშირებს. შენობის თვით კარნიზისა კედლის სადად არის გადაწყვეტილი, გამოვლენილია კედლის თავისუფალი სიბრტყე. მინისტრთა საბჭოს ვესტიბილის გადაწყვეტა ემყარება ცენტრული

ღერძს, რაც აგრეთვე მკაფიოდ ახასიათებს ქართულ არქიტექტურას, მთავრობის სახლის ავტორებმა გააღრმავეს და ახლებურად წარმოადგინეს მონუმენტური ნაგებობის სივრცობრივი გადაწყვეტის ხალხური ტრადიცია, რომელიც ემყარება საერო ხუროთმოძღვრებაში, სახელდობრ, გლეხის საცხოვრებელ დარბაზში შექმნილ სივრცეს.

მინისტრთა საბჭოს ვესტიბული ავტორებმა ერთიანი სივრცით გადაწყვიტეს. მათ გამოიყენეს მსოფლიო ხუროთმოძღვრებაში ცნობილი კომპოზიცია: — ცენტრალური სივრცის გარშემო მოთავსებული ვალერეა, და ვერტიკალური ღერძის გარშემო ვალერეის განლაგებით თავისებური გადაწყვეტა მოგვცეს. ზემოთნაგაბაჟი ქართული „დარბაზის“ იდეათა შთაბეჭდილი. ამას ცხადყოფს სწორედ ზევით, — გადახურვასთან „დარბაზული“ დედაბოძის ტიპის სვეტების დაყენება.

მთავრობის სახლის არქიტექტურაში მდიდრად არის გამოყენებული ქართული არქიტექტურული მორთულობის ნიმუშები.

უმაღლესი საბჭოს პირტალის მიმართება იმეორებს ძველ არქიტექტურაში, განსაკუთრებით XIII—XIV საუკუნეებში, ძველგლეზულ ხერხს (მაგ. დაბა, ჭულე, ზარზმა და სხვ.), მაგრამ აქ უბრალოდ გამოიყენა კი არა გვაქვს, არამედ პორტალის მორთულობა მთლიანად ემორჩილება ამ კომპოზიციის საერთო ჩანაფიქრს. მოჩარჩოების ორნამენტის ნახატ არ არის ახალი, იგი გვხვდება ძველ ძეგლებზეც (მაგ. სვეტიცხოველი), მაგრამ ორნამენტის ელემენტთა შეფარდება, კერძო მანერა პროტოტიპებისაგან განსხვავდება.

სრულიად ახლებურადაა გადაწყვეტილი მინისტრთა საბჭოს პორტალი. ძველ ძეგლებში არ გვხვდება შესასვლელთა მსგავსი გადაწყვეტა, მაგრამ თვით ორნამენტული ხალიჩის მოცემა ქართული ტრადიციებითაა ნაყარნახევი. ავტორებს ნიმუშად ატენის ცნობილი კანკელი აულიათ. მაგრამ მცირე პლასტიკის ნიმუში კედლის დიდი სიბრტყის დასაფარავად მათ მონუმენტურ ღონემდე აიყვანეს და ამით კედლის დეკორატიული დამუშავების სრულიად ახალი დამოუკიდებელი ნიმუშები შექმნეს.


ზოგან მთავრობის სახლის ორნამენტულ მორთულობაში მოთხოვნენ ნახატის უფრო მეტ დახვეწას, მეტ პლასტიკურობას. ხშირად ვერ არის სათანადოდ გათვალისწინებული ფაქტურის სპეციფიკა. ეროვნული ტრადიციების გამოყენება ყოველთვის ვერ დგას მაღალმხატვრულ ღონეზე (მაგ. კაპიტლები უმაღლესი საბჭოს ვესტიბულში).

მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ ავტორები ძირითადად, პრიციპულად სწორად სახელგარე ორნამენტის როლს და ადგილს, იცავენ მორთულობის ლოგიკას და ამით იძლევიან საბჭოთა არქიტექტურაში დეკორატიულ-ორნამენტულ ელემენტთა რაციონალური გამოყენების ვაგზებზედ მაგალითს.


საქართველოს სსრ მთავრობის სახლის ავტორებმა განაგრძეს საბჭოთა ადმინისტრაციულ შენობათა არქიტექტურის ტრადიციები (საკმარისია ვაგისენოთ მინისტრთა საბჭოს შენობები მოსკოვსა და კიევში, საბჭოების სახლი ლენინგრადში და სხვ.). მთავრობის სახლის მისივე საზეიში, მაგრამ ამავე დროს საქმიანი სახე. შენობის არქიტექტურა თავისუფალია ზედმეტი დეტალებისაგან; თავისი ამაღლებული მასშტაბურობით იგი გამოირჩევა მთელ განაშენიანებაში, მაგრამ „ჩაკეტლი“ კი არ არის, არამედ ორგანულადაა შერწყმული მასთან.

მთავრობის სახლის სახით ავტორებმა ნაციონალურ და უცხოურ ტრადიციათა გადამუშავების და საბჭოთა არქიტექტურის გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე შექმნეს შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული არქიტექტურული ნაწარმოები. მისი არქიტექტურული სახე ქართველი სოციალისტური ერის არქიტექტურის განვითარების კანონზომიერი გამოვლენაა. იგი განაგრძობს იმ პროგრესულ ტრადიციებს, რომლებიც ჩვენი არქიტექტურის წამყვანი ძეგლებით ხასიათდება (საქართველოს მუზეუმის შენობა, მელსის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი, „დინამოს“ სტადიონი თბილისში, საქ. სსრ პავილიონი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში, საცხოვრებელი სახლი ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე თბილისში და სხვ.). ეს ნაწარმოებები ახლებურად წყვეტდნენ ეროვნული ფორმის შექმნის პრობლემას, ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიის გარკვეულ პერიოდებში წინ სწევდნენ ჩვენი არქიტექტურის განვითარებას. საქართველოს სსრ მთავრობის სახლის არქიტექტურაში ეროვნულ და კლასიკურ ტრადიციათა შერწყმის ტენდენცია—ყველაზე სრულადაა გამოხატული. ავტორებმა უარყვეს ძველი არქიტექტურული ფორმები, მაგრამ იმ რაციონალური, პროგრესული მომენტების გათვალისწინებით, რომლებიც ძველს გააჩნდა, მათ მოგვცეს საბჭოთა ადმინისტრაციული სახლის ახალი, ორიგინალური სახე.

ნოვატორობის გამოვლენისა და ტრადიციების პროგრესული ათვისების მხრივ ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიაში საქართველოს სსრ მთავრობის სახლის არქიტექტურა საეტაპო მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს.



საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მარცხენა ვესტიბული



გ. შ. ვანსეოვი

„ჩრინლი გზაჯკარელანზე“

რუსეთის მუხუმეგვიდან ახლად მიღებული სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები

შალვა ამირანაშვილი

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თავისი არ-სებობის ოცი წლის მანძილზე, პარტიისა და ხელისუფლების დიდი მზრუნველობის შედეგად, გადაიტყა სახვითი ხელოვნების ნამდვილ საუნჯედ. მუზეუმის ექსპოზიციის მხატვრული კულტურა, რომელიც ხალხის მრავალსაუცუნოვანი მხატვრული კულტურა, რომელიც, შინაარსისა და მხატვრული-ესთეტიკური ღირებულების მიხედვით, გარკვეული ადგილი უჭირავს ხელოვნების ზოგად ისტორიაში. ექსპოზიციის ნათლად ნაჩვენებია, რომ საბჭოთა პერიოდის ქართული ხელოვნების რეალისტურ ტრადიციებზე და იგი ამჟამად წარმატებით ეუფლება სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს.

მეორე წელია მუზეუმში არსებობს მხატვრული ფონდების მუდმივი ექსპოზიცია, რომელიც მოწოდებულია მშრომელთა ფართო მასებში გასწოის მხატვრული კულტურის პროპაგანდა, გააცნოს მათ საბჭოთა ხელოვნების მიღწევები, გამოამწეროს ქართული ხალხის მრავალსაუცუნოვანი მხატვრული მემკვიდრეობა. მუზეუმის ექსპოზიცია მიზნად ისახავს გამოავლინოს ქართული მხატვრული კულტურის დამოუკიდებელი სახე, მისი შინაგანი ძალა სწორედ იმით გამოიხატებოდა, რომ უცხო ქვეყნების მიღწევები მხატვრული კულტურის დარგში აითვისა და გარდაქმნა საყოფარო ტრადიციის მიხედვით, მისცა მათ ეროვნული სახე, გაამდიდრა ქართული კულტურის შინაარსი, მიანიჭა მას მსოფლიო მნიშვნელობა


საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი 1934 წელს დაარსდა. მიუხედავად ამისა, მუზეუმის მხატვრული ფონდების სიმდიდრე, მათი მხატვრულ-ისტორიული და მეცნიერული მნიშვნელობა აუწყებს მას საბჭოთა კავშირის მოწინავე მუზეუმთა რიგში. მუზეუ-

მის ზოგიერთი კოლექცია უნიკალურია, განსაკუთრებით ძველი ქართული კედური ხელოვნების ნიმუშები და ტიხრული მინაწერები.

საბჭოთა პერიოდის ხელოვნებას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მუზეუმის ექსპოზიციის. ქართული ხელოვნების მიერ შექმნილი არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები ამჟვეებს მუზეუმის გამოყვანას. ყველაზე დიდი დარბაზი უყავია თემატიკურ გამოყვანას — დიდი პედალები ლენინი და სტალინი სახვით ხელოვნებაში. ხელოვნების განყოფილება სისტემატურად იზრდება და ფართოვდება, ქართველი მხატვრების ნაწარმოებები გამოფენილიდან საუკეთესო ნიმუშები ყოველწლიურად გადაეცემა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს.

მუზეუმის მთავარ ამოცანას წარმოადგენს: ქართული ხელოვნების ისტორიული განვითარება მხსხველს უჩვენოს ხელოვნების ზოგად ფონზე და ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცის იმ ერებისა და ქვეყნების მხატვრული კულტურას, რომლებთან საქართველოს ისტორიულად კულტურული ურთიერთობა ჰქონდა. ბუნებრივია, რომ დიდი რუსი ხალხის ხელოვნების სათანადო ჩვენება დღეების მიხედვით მუზეუმისათვის განსაკუთრებული მზრუნველობის საგანს შეადგენს.

ხელოვნების მუზეუმის ძირითად ფონდს შეადგენს საქართველოს ეროვნული გალერეის, საქართველოს საისტორიო და საინფორმაციო საზოგადოების, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საკულტურო მუზეუმისა და უნივერსიტეტის ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის კოლექციები. მუზეუმს 1945 წელს გადაეცა სამუზეუმო განძეულობა, რომელიც საქართველოდან გატაცებული იყო მწმეუკების მიერ. საქართველოს მუზეუმებს დაუბრუნდა ის ისტორიული და მხატვრული ფონდები, რომლებიც საქართველოდან გარბილნი იქნა მეფის მთავრობის მიერ. ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის



XVII საუკ. ფენიზი იტალიელი მხატვარი

„ნიმფა პანს გაურბის“.

ზეთი

და შემდეგ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს განკარგულებაში მოსკოვისა და ლენინგრადის მუზეუმების ფონდებიდან საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს გადამოეცა რუსეთის ხელოვნების, დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთ ქვეყნების სახვითი ხელოვნების უძვირფასესი კოლექციები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ერიმიტაჟი დიდი სიღებე გამოიჩინა, გადმოსცა რა ჩვენი მუზეუმს 425 ექსპონატი, ჩვენი მუზეუმის ფონდში გადმოსულა:

ძველი ეგვიპტის ხელოვნებიდან ბრინჯაოს ქანდაკებანი: ოსირისი, ამონინა, ოსიდა პორუსით ხელში, ანუბისი, აპისი, ტოთი, სხვადასხვა მაგიურ-რელიგიური მნიშვნელობის მცირე ქანდაკებანი, კოპტური წარმოშობის სახიანი ქსოვილები და სხვ.

ანტიკური ხელოვნების კოლექციებიდან — სხვადასხვა სახის და ფორმის მონახტული ვაზების კარგად შერჩეული ნიმუშები, რომელიც ურნა პარელიეფთო, მინის მხატვრულ ნაწარმოებთა ნიმუშები, პორტრეტები, ტანჯარის ტიპის მცირე ქანდაკებანი, ბრინჯაოს სხვადასხვა ფორმისა და სტილის ჭურჭელი, იტალიური რიტონი, ეტრუსკული ბრინჯაოს სარკე და სხვ;

ფრანგული კოლექციებიდან დიდი გობელენი, 1760 წ. (4×5,15 მტ.) ესთერის ნადიმის გამოსახულებით; გობელენი-ვერდიერი (2,88×2,70 მტ.); XVIII ს. სურათები ჟ. ვერნე — „ნავსადგური“, დიუგე „პეიზაჟი“; იტალიური სკოლის „ნიმფა, რომელიც პანს გაურბის“, XVII საუკუნის გალათიას ტრიუმფი, XVII; დედა ბავშვებითურთ XVII და სხვ;

გრაფიკული ხელოვნების ნიმუშებიდან XV—XIX ს. ს. გამოჩენილი ეკრაოლი ოსტატების ნაწარმოებები და ევროპული ფაიფურის ძვირფასი კოლექცია, რომელიც შეიცავს ევროპის ქვეყნების თითქმის ყველა ცნობილ მარკას.

ხელოვნების მუზეუმს დიდი დახმარება გაუწიეს ტრეტიაკოვის გალერეამ და აღმოსავლეთ ქვეყნების კულტურის მუზეუმმა. ამ უკანასკნელმა ჩვენს მუზეუმს გადმოსცა ძველი და ახალი ჩინეთის ხელოვნების ნიმუშები, რომელთაც დიდი მხატვრული-სტრითილი მნიშვნელობა აქვთ. წელს ტრეტიაკოვის გალერეამ საქართველოს ხელოვნების მუზეუმს დაუთმო ძველი რუსული დაზგური ფერწერის მდიდარი კოლექცია. ამყამად ხელოვნების მუზეუმს საშუალება აქვს წარმოასახოს ძველი რუსული ხელოვნების განვითარება ყველა სკოლის მიხედვით.

რუსეთის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დახმარების შედეგად საქართველოს ხელოვნების მუზეუმში სრული სახით წარმოდგენილია მე-18 და მე-19 საუკუნეების პირველი ნახევრის რუსული ხელოვნება. მუზეუმის ექსპოზიციაში გამოჩენილი ოსტატები: ლევიცი, ბოროვიკოვსკი, ტროპინინი, ბრიულოვი, ბასინი, სილვესტრ შნედლინი, ზარიანო, ბოგოლიუბოვი, ლაგორო, აივანოვსკი, ვ. მაკუსკი, კ. მაკოვსკი, მაკაროვი, ვასილიევი, შიშკინი, კრამსკოი, ა. ვასნეცკოვი, ვ. ვასნეცკოვი, კუინჯი, რეზნი, სურვიკოვი და სხვები. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ხელოვნება შედარებით უფრო ნაკლებად არის წარმოდგენილი. დარწმუნებული ვართ, რომ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს დახმარებით მუზეუმი აღნიშნულ ხარვეზსაც შეაგებს.

დიდი რუსი ხალხის მშობი დახმარებით, მშობლიური კომუნისტური პარტიის მზრუნველობით საქართველოს ხელოვნების მუზეუმი გააფართოებს თავის მუშაობის არეს და უფრო წარმატებით შეასრულებს საბატიო ამოცანას მშრომელთა კულტურული მომსახურების დარგში.

მუზეუმის თანამშრომელთა კოლექტივი ამყავს იმით, რომ მას წილად ზედა საბატიო ამოცანა — გააცნოს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მასებს ცაცობრიობისა და თავისი ქვეყნის მხატვრული კულტურის ნიმუშები.



ფრანგული გობელენი

ფრაგმენტა. 1760 წ.



დურერო

„სამსონის ლომთან შეგბრძოლება“.

ოფორტი

ჰერადი ფილმი

კარო გოგოძე



სამუთა საქართველოში ჯერადი ფილმის — ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის თაოსანი და დასუფუძლის ჩამყრელი იყო ქართული კინოხელოვნების ერთ-ერთი აქტიური მუშაკი, ნიჭიერი მხატვარი-რეჟისორი — ვლადიმერ ასონიძე მუჯირი. მას დიდი დავაირი მიუძღვის ქართული ჯერადი ფილმის ორგანიზაციას და ტექნიკური მოწყობილობით მის აღჭურვაში. ამ დარგისათვის ახალგაზრდა კადრების მოზადება-დაწინაურებაში. ის 23 წლის მანძილზე დაუცხრომლად ემსახურებოდა ქართული ჯერადი ფილმის განვითარების საქმეს.

1930 წლიდან ე. ი. იმ დროიდან, როცა დაიდა პირველი ქართული საატეხური ჯერადი ფილმი „მორს აკვანი“ (ავტორეჟისორი ვლადიმერ მუჯირი) იწყება ქართული ჯერადი ფილმის ისტორია. 1935 წელს გამოვიდა პირველი ქართული მხატვრული ჯერადი ფილმი „არგანავტები“ (ავტორეჟისორი ვლადიმერ მუჯირი). ეს იყო კოლხიდის ქაობის ამიზრობის დიდა საქმისადმი მიძღვნილი, საცხოვო ისტატობითა და ზობიერების გრძნობით გაკეთებული ფილმი.

ამ დღიდან დღემდე ჩვენი შექმნა 20-მდე ჯერადი ფილმი. მათ შორის „გაიძვირა“ (რეჟ. ვლ. მუჯირი, მიმ. მხატვარი კ. ქანკვეტაძე), პირველი ქართული ფილმი ჯერადი ფილმი „ნიორა“ (რეჟისორი ვლ. მუჯირი, მიმ. მხატვარი მ. სენხანაშვილი), „ოქონის ბიბოლი“ (გრიგოლ ასაძის სცენარი, რეჟ. ვლ. მუჯირი, მიმ. მხატვარი მ. სენხანაშვილი), „ვაზაფელის სტუმრები“ (ვლ. კარსანიძის სცენარი, რეჟ. ვლ. მუჯირი, მიმ. მხატვარი ან. კანდელიანი) და სხვ. ეს ფილმები გადიდელი ოპორტუნობა ღუბა კვალიაშვილმა და სარა სასრიაშვილმა.

რეჟისორებთან და ოპორტუნობებთან ერთად ქართულ ჯერად ფილმებს უკმინდნენ მხატვრები: ვახტანგ ზახტაძე, თეიმურაზ მიქაძე, გრიგოლ ჩხეტიანი, მიხეილ სენხანაშვილი, მხარე მამბრაშვილი, ბორის სტარიკოვსკი, სერგო სულავა, გაბო ლავრელაშვილი, ნანი შალივაშვილი, ქენია ნადირაძე, ნინო ჰამორაძე, პაველ გეგულაშვილი, ა. სუმბაიაშვილი, სიმბ ტუბუნი, ნაზულ ტყეჩიანი, ტატიანა კრიმოვსკაია. ამ მხატვრებს თავიანთი მხატვრული აღლითი და გამომგონებლობითი უნარი ხელი შეუწეხს ქართული ჯერადი ფილმების იდეურ-მხატვრულ სრულყოფას.

ქართული ჯერადი ფილმების უმეტესობა თემატურად ჩვენი ყველა დღიური ცხოვრების აქტუალურ საკითხებთან და შრომობილ მსიების კომუნისტური აღზრების ამოცანებთანაა დაკავშირებული.

უკანასკნელი ქართული ჯერადი ფილმები „ნაზი“ (რეჟ. შ. გელვეანიშვილი, მიმ. მხატვარი თ. მიქაძე), „მამაცი ალბინოები“ (რეჟ. მ. მუჯირი და ა. ხინიანიძე), მიმ. მხატვარი მ. სენხანაშვილი), „ჯაფარი“ (ანა შანშიაშვილის და ა. ხინიანიძის სცენარი, რეჟ. ა. ხინიანიძე, მიმ. მხატვარი თ. მიქაძე), „ღარიბის ბედი“ (ე. კობიაშვილის სცენარი, რეჟ. ე. მუჯირი და ა. ხინიანიძე, მიმ. მხატვარი მ. სენხანაშვილი), „ბეჭედი“ (ნიონ ნაკაშიძის და კ. მაჭარაძის სცენარი, რეჟ. შ. გელვეანიშვილი და თ. მიქაძე, მიმ. მხატვარი ა. სუმბაიაშვილი) „წვივ ჩუქა“ (რეჟისორები არაკლი ხინიანიძე და გ. ჩხეტიანი. შთავარი მხატვარი მ. სტარიკოვსკი), „ურუშა“ (პ. მორსიკის სცენარი, რეჟ. ე. ზახტაძე და შ. გელვეანიშვილი, მიმ. მხატვარი მ. შუმხანაშვილი) ნათლად მოწმობენ ქართული ჯერადი ფილმების შემქმნელთა თვალსაჩინო შემოქმედების ზრდას, მათ პოლიტიკულ დაოსტატებას.

უკანასკნელი ხანებში გამოშვებულ ჯერად ფილმებში მოქმედ პირეზად უფრო მეტი წარმატებით არის გამოყენებული ადამიანი, ძველი ფილმები კი უშარკესად აგებული იყო ცხოველებს ტიპაჰე.

ხელით ნახები ადამიანის სახე. ხასიათი, ქვევა, განცედი სრულად ბუნებრივი უნდა იყოს, ახლო უნდა იდგეს სინამდვილესთან. რათა ისეთივე ძალით აღუდგებდეს მავრებულს, როგორც კერანზე ასახული ნამდვილი ადამიანები. ჯერადი ფილმებში მოქმედ პირად ადამიანის გამოყენება მეტად რთული და ძნელი საქმეა. შემოქმედებითი ფანტაზიის გარდა, ის მოიზიოთეს ხატვის უმაღლესი ტექნიკას, ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ თავისებობათა ზედმიწევნით ცოდნას. აქ არ გამოადგება ფანტის თაქსილური ვარჯიში. აქ საქობია რეალურ ადამიანთან ნახატის ხასის სრული მსგავსება, ყოველ ფიგურებში რეალურ სინამდვილესთან თითუელი ნახატის შეუნანსწორება. მობრბობათა ნივანების უზუტი დაღვა, უმაღლესი ბუნებრივობა.

ქართული ჯერადი ფილმები „ერთხანის მკვებობი“, „მაიკო და ზურიკო“, „ღარიბის ბედი“, და „ყურუშა“, სადაც ფრინველებთან და ცხოველებთან ერთად მოქმედ პირებად ადამიანებიც არიან გამოყენებული, ნათლად მოწმობენ, ჯერად ფილმში ადამიანის განმეყენის თვალსაზრისით, ჩვენი მხატვრების და რეჟისორების დაოსტატებას.

ამ ფილმებს ბევრი, მაგრამ არც ექნა შედეგად დასაძვირებელი აქვს საქობია მხოლოდ მეტი შემოქმედებითი აქტივობა, გაბედულობა, განუწყვეტელი ძიება.

მე-19 პარტებლად ყრილობამ სამუთა კინომუშაკებს უდიდესი ამოცანები დაუსხა. უნდა შეიქმნეს ბევრი მაღალხარისხოვანი, კომუნისტების ესოქის ადამიანის შესაფერი კინემატოგრაფიული ტილო. ეს მოთხოვნა ახალ ამოცანებს უსახავს ჯერადი ფილმის მუშაკებსაც. ამგვარად საქართველოს კინოსტუდიაში იქმნება ფილმები: „მალხაზი“ (ანა შანშიაშვილის და პ. წერეთლის სცენარი, რეჟ. თ. მიქაძე), მიმ. მხატვარი მ. სტარიკოვსკი), „ნიკო და ნიკონა“ (შალვა დადიანის და ა. ხინიანიძის სცენარი, რეჟ. ა. ხინიანიძე; შთავარი მხატვარი მ. სტარიკოვსკი, ი. სუმბაიაშვილი და გ. თოთიანიძე), უკვე შზად არის ნახატი ფილმების სცენარები: „ბასარა“ (სცენარის ავტორი ე. კობიაშვილი), „წვირიკი“ (ანა შანშიაშვილის სცენარი), „მამია და თოს ბაბეჯი“ (მხარეანის სცენარი), „ონავარი“ (გ. ჯინჭარაძის სცენარი). გარდა ამისა, ახალ სცენარებზე მუშაობენ შალვა დადიანი, როდიონ ქორქია, რეჟავ მხატვანი. ანა ხახტაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ვლადიმერ კარსანიძე და სხვ.

იხისათვის, რომ ქართული ჯერადი ფილმის მუშაკებმა შექმნან იდეურად და მხატვრულად უფრო მაღალხარისხოვანი ნაწარმოებები, გათვალისწინებული უნდა იქნას ის შედეგობები და ნაკლოვანებები, რომლებიც ჩვენს ჯერად ფილმებს გაჩნიათ.

უპირველეს ყოვლისა, აღანიშნავია ის, რომ ქართულ ჯერად ფილმს ჯერ კიდევ არა აქვს თავისი კოლგირა; ქართული ჯერადი ფილმი თითქმის არაფრით არ განირჩევა სხვა სტუდიების მიერ გამოშვებული ფილმებისაგან.

ჩვენი ჯერადი ფილმი თემატურადაც შეზღუდულია. მაგალითად, სამი უკანასკნელი ფილმი „ბეჭედი“, „წვივ ჩუქა“ და „ყურუშა“ ერთსა და იმავე თემას — მუშების გარდაქმნას ეხება. ბევრი მაივანი ეანრობრივადაც ერთფეროვანია. კინომუშაკები ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყენებენ ჯერადი ფილმის ტექნიკურ შესაძლებლობას სხვადასხვა ეანრის ფილმების შესაქმნელად. სატარი, გროტესკი, შარტი, კომედია ჯერად ფილმებში უცვლელუყფოფობია, ეს მაშინ, როცა კინოხელოვნების არც ერთ სხვა სახეობაში არ აქვს ამ ეანრების გამოყენების ისეთი შესაძლებლობა და პირობები, როგორიც ჯერად ფილმებს.

სასულ წელს ახალგაზრდა ავტორებმა მ. ქველიძემ და გ. პატარაიანმა სცადეს შექმნათ სატრული ჯერადი ფილმი ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ ნაკლოვანებაზე. შთავარი გმირად მათ გამოიყენეს ქვეიანი, მოქნილი და მოხერხებული ცმაწილი კაცი — უშიზრა. მაგრამ ახალგაზრდა ავტორების თაოსნობას მზარი არ დაუტოვებს. ეს გაუბედობითი იყო გამოწვეული, რაც შემდეგში არ უნდა განმეორდეს, თუ გვსურს მივადვიროთ ჯერადი ფილმის მეტ იდეურ-აღმშრომლობის ძალას.

ქართული ჯერადი ფილმებში შემოქმედებითი უნდა იქნას ახალი პერსონაჰებიც; ჩვენი მხატვრები უფრო მეტს უნდა მუშაობდნენ ცხოველთა ხასიათის გასახსნელ ორიგინალურ ხერხების გამოსაძებნად თუ აქტუალური იქნება ერთი და იგივე ცხოველების გამოყენება, მაშინ თითუელი მაივანისათვის უნდა მიიწახოს გამოხატვის ახალი სა-

* ქართული კინოტრამბოლოვა დღემდე დაღვენილი არ არის. ამ წერილში სკეპტური გამოიშვა მუდტატალიკაციური ფილმი შევეყალი გამოიქმნი ფეარდი ფილმი, რადგან ეს ტერმინი განისაზმელებად უფრო მისაგებრებელია და ზუსტადაც გამოხატავს ანეკარი ფილმის თავისებურებას. კ. ა.

შეაღებენ. რათა ერთიდაიგივე ცხოველები, როგორც ხასიათები, ერთი-მორისავე განსხვავდებოდნენ.

ჯერადი ფილმის ხელშეწყობა უარესად პირობითი ხელშეწყობაა. მაგრამ ეს პირობითობა რეალურ საფუძველს არ უნდა სცილდებოდეს. აღმართა და ცხოველთა ბუნების კანონები უნდა მართლდებოდეს.

ჩვენს ჯერად ფილმებში არის შემთხვევა, როცა ნახატ პერსონაჟის მოძრაობა წყდება, არ სრულდება და დაუმთავრებელი მოქმედების შოაბეჭდილებას სტოვებს. მაგალითად, ფარგებს და ნაცარას საუბარი, ნაცარას წაყვლა (ფილმი „ბეკეა“), მარტის გაწვევა (ფილმი „მამაცი ალბინისტები“). ტახტზე მდარდი მეფის გარდაცვალება (ფილმი „ლარიბის ბედი“) და სხვ. მოძრაობათა არაბუნებრივი, არანორმალური განვითარება და დამთავრება ცუდ შოაბეჭდილებას სტოვებს მაცურებელზე. აფერხებს ვარცხნილი აზრის გამოტანას, რაც თავის მხრივ ხელს უშლის ფილმის მხატვრულ-იდეურ ზემოქმედებას.

ზოგჯერ ქართულ ჯერად ფილმებში გვხვდებით ისეთ მოძრაობას, რომლის ფუნქცია მხოლოდ კინემატოგრაფიული ტრეკით არის ნაკარნახევი. მას გამოვლილი აქვს შინაარსი, გამიზნულია მხოლოდ გარეგნული ეფექტისათვის.

ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ფილმში „გაჯავრებული სათამაშოები“. სადაც უფრო მეტია გატაცება ნახატის ფორმით, ვიდრე იდეურ მიზანდასახულებით. თუ ტექნიკური თვალსაზრისით ეს ფილმი ნაბიჯია წინ, შინაარსის მხრივ იგი დაბალ დონეზე დგას.

შიშვლი მხატვრული ტრეკებით გატაცება ფორმალზომისკენ მიმავალი გზა და მიუღებელია საბჭოთა კინოხელოვნებისათვის.

ჩვენს ჯერად ფილმებში ზოგჯერ დარღვეულია მუსიკისა და ხმის შეხამება მოქმედებასთან („ოქრის ბილიონი“, „გაჯავრების სტრეკები“, „მამაცი ალბინისტები“, „ჯაფარა“). მაცურებელზე ცუდ შოაბეჭდილებას სტოვებს, როცა ფილმის მუსიკა, ხმა, სიმღერა პერსონაჟების მოქმედების რიტმს არ ემთხვევა; მოქმედებასა და მუსიკას შორის ურთიერთ რიტმულობის დარღვევა ძალას უყარავს სურათს.

მწლი მისაღწევა ნახატ პერსონაჟებისა და მათი მეტყველების სრულ სინქრონიზაციას, ამიტომ ჯერად ფილმებში მოიქვდები გმობთა დიალოგი მინიმუმად უნდა იქნას დაყვანილი, მით უფრო, თუ დასაბრკაველქმის სახით გვხვდება. შესანიშნავი ჯერადი ფილმი „ბეკეა“, უფრო მოიხვედს, რომ მის პერსონაჟები ლექსით კ არა, ჩვეულებრივი ენით დასაბრკავენ. ფილმებში „გაჯავრებული სათამაშოები“, „მამაცი ალბინისტები“, „წვივ ჩუპა“, „ყურმა“ დიალოგი მოკლებულია სისადავს და მხატვრულობას.

ხალხის სიბრძნისა და გუჟამავილობის დაუღვევლი ზღვა — ფოლკლორის საუცუთესო მასალა ნახატ ფილმებისათვის. ჯერადი ფილმის ისტატები და მწერლები სათანადოდ არ იყენებენ ფოლკლორს და ქართული ლიტერატურის ისეთ ძეგლებს, როგორცაა სულხან საბა ორბელიანის პოპულარული არაკები და ვაგა ფშაველას ეპიკონომები. მეტად დაბალ დონეზე დგას ჯერადი ფილმების სექტიორის ტექნიკური ბაზა, იგი იმდენად პრიმიტიულია, რომ არა თუ მომავალში, დღესაც ვერ ვამჯავრებულვს ქართული ჯერადი ფილმების შექმნის მზარდ მოთხოვნილებას. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღწერილი ბაზა ქართული ჯერადი ფილმის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ქართველმა კინოშემაგებმა თავიანთი შემოქმედება მარტო ნახატ ფილმების შექმნით შემოფარგლეს. მთელი მონდომებით არაგის დღემდე არ უცდია შექმნა თოჯინების ფილმები. ქართულ ნახატ ფილმებთან ერთად, დროა ქართული თოჯინების ფილმების ექმნებოდეს. ამ მხრივ დიდი დანაშაუბის გაწევა შეუძლია თოჯინების ქართულ თეატრს. თბილისის კინოსტუდიამ უნდა გამოიყენოს ამ თეატრის ნიჭიერი კოლექტივის მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილება. ვარდა არის, მოსკოვში უნდა მომზადდნენ თოჯინების ფილმებზე მომუშავე სპეციალისტები, რომ უხალისე ვერაზე მყოფი საბჭოთა მაცურებელს ვერცნით მაღალხარისხიანი, ქართული ფილმი, ხმოვანი თოჯინების ფილმი.

ქართული ჯერადი ფილმის ისტატებს შესწევთ ძალა, რომ შექმნან იდეურად და მხატვრულად კიდევ უფრო მაღალხარისხიანი კინოსურათები.

კინოსამოკვრატორო ხელოვნება

დავით კანდელაკი



არტიის და მოაგრობის შეუწელებზემა ხელმძღვანელუბამ უზრუნველყო საბჭოთა კინემატოგრაფიის დიდი წარმატება და სახელი მიულ მსოფლიოში.

საბჭოთა კინემატოგრაფიის შემქრებელად აღმავლობას მოწუშობს ჩვენი შავ-თეთრი (ჩვეულებრივი) და ფერადი ფილმებია პოპულარობა საერთაშორისო ფესტივლებზე.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, ჩვენი კინემატოგრაფია ჯერ კიდევ ვერ ასულა იმ მაღალ დონემდე, რასაც მისვას კარტია მოითხოვს და საბჭოთა ხალხი მიეღოს.

პარტიის XIX ყროლობის დირექტივებში აღნიშნულია ფილმების გამოშვების გადიდების და ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობა. ეს გარემოება დიდ მოვალეობას აკისრებს კინოს ყველა მოღვაწეს, პირველ რიგში, მის შემოქმედ მუშაკებს. იმისათვის, რომ პირნალოდ შევასრულოთ პარტიისა და მოაგრობის დავალება, საჭიროა დაძაბული მუშაობა.

ჩვენი კინემატოგრაფიის სერიოზული ნაკლავანებანი იმით აიხსნება, რომ ჩვენ საქამო რაოდენობით არ მოგვეცემა თემატურული და განრობრეად მრავალფეროვანი, მაღალხარისხიანი კინოსცენარები. საბჭოთა მაცურებელი მოითხოვს მრავალნაირ თემაზე შესრულებულ ფილმებს, როგორც თანამედროვე ცხოვრების ამსახველს, ისე ისტორიულ, ისტორიულ-ბიოგრაფიულ, ფესტივალურ, ზღაბრულ და სათავგადასავლო მხატვრულ სურათებს.

კინოსცენარების ნაკლებობის გამო კინოსტუდიები, მათ შორის, საკარტეების კინოსტუდიაც, სრული სიმძლავრით ვერ მუშაობენ, ხოლო ბევრი რეჟისორი, ოპერატორი, მსახიობი და მხატვარი ცდნება, სისრულით ვერ ამგვანებს თავის შემოქმედების ნიჭს და შესაძლებლობას.

ამჟამად თბილისის კინოსტუდია ინტენსიურ მუშაობს აწარმოებს სცენარების შექმნაზე: უკვე გაჩნდა სხვადასხვა თემაზე შესრულებული რამდენიმე რეალური სცენარი, რომლებიც შეიძლება სასუფთაოდ დადგოს მხატვრული ფერადი ფილმების წარმოებას 1954 წელს. ასეთია ბიოგრაფიული სცენარი „ეფერის სიმღერა“ (ავტორი სიკო დოლოძე); „ისინი მიიდან დემუნენ“ (ა. ბულიაშვილი, მ. ზოლმინცივისა და ნ. სანიშვილის სცენარი); რომელიც უკვე ჩამუშეულია წარმოებაში; „ჯაფანსური საღამური“ ფილმი ქართული ზღაბრების მოტივებზე (სცენარის ავტორი კ. მიქაბერიძე). ამჟამად მიმდინარეობს ფერადი კინოფილმის „მარინეს“ გადაღება (ავტორები მ. ბარათაშვილი, ს. დოლიძე და ლ. ხობივანი, რეჟისორ-დამამგებელი ს. დოლიძე, ოპერატორი — თ. ლიბოვი).

ამოკრებულია წლისათვის სცენარებზე მუშაობენ მწერლები: ლეო ქობაქილი, კ. ლორთქიფანიძე, გრ. ჩიქოვანი, თ. დონვაშვილი, ალ. ჟივოვილი, ნ. დოლიძე, თ. გოგუაძე, გ. ნახუტიანი, ო. ჟურაბული. სტუდია, როგორც შემოქმედებითი, ისე ტექნიკური კადრების მზირეაც უზრუნველყოფილია. ბევრ მუშაკს მიღებული აქვს სათანადო მომზადება მოსკოვის და ლენინგრადის ფერად ლაბორატორიებში. ამათგან ზოგიერთმა წარამტებითი, საბჭოთაში საუცუთესო შემოქმედების მანერნებლბს მიგდწუთი, შექმნა მარტოვე ინვატფურთ ფირის დაწმუშების, პოზიტვების ბეჭდვის და სინაჟლის დაყენების ტექნიკა. ამრიგად ყოველგვარი პირობა არსებობს იმისათვის, რომ წარმოვაში რამდენიმე სურათი გვექნეს, მუშაობაში საუცუთესო შემოქმედების მანერნებლბს მიგდწუთი, შექმნა მარტოვე ინვატფურთ ფირის დაწმუშების, პოზიტვების ბეჭდვის და სინაჟლის დაყენების ტექნიკა. ამრიგად ყოველგვარი პირობა არსებობს იმისათვის, რომ წარმოვაში რამდენიმე სურათი გვექნეს, მუშაობაში საუცუთესო შემოქმედების მანერნებლბს მიგდწუთი, შექმნა მარტოვე ინვატფურთ ფირის დაწმუშების, პოზიტვების ბეჭდვის და სინაჟლის დაყენების ტექნიკა.

როგორც ცნობილია, არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენმა კინოხელოვნებამ ახალი ბეტრის გამოყენების შესაძლებლობა მოიპოვა, ხოლო შემდეგ ახალი კომპონენტი — ფერი მიიღო.

ფერმა არჩევულებრივად გაამდიდრა კინოს გამომსახველობა. შესაძლებელი გახდა ცხოვრების სიმარტულიან კინოს მასმომლური მიხალეობა; თავისი ბუნებრივობის ძალით ფერადი ფილმი უდიდეს სიმომენებას ანიჭებს მასურებულს. ფერმა ისევე, როგორც ბევრმა გააძიღრა კინოფილმის ზემოქმედებით ძალა. ფილმის გამოსახულება ბევრად უფრო ცოცხალი და სინამდვილეთიანი და დახლებული გახდა.

ფერი მეტად მაღალ მოთხოვნებს უყენებს კინომუშაებს. ოპერატორი და მხატვარი შეგნებულად და წინდახეულად უნდა მოეციონ ფერთა გამას. ზომიერება აქ აუცილებელია მთელი სურათისათვის და თითოეული ცალკე სცენისათვის (პიზოზიდაისთვის) განსაკუთრებით. ერთერთულად სცენაში ვარაუდებულად უნდა იქნას ერთი მხოლოდ აუცილებელი რაოდენობა. ფერების სიუხვეს და ვადებრებულ სიჭრელეს შეუძლია მასურებლის თვალს და ყურადღება მოსწვეტის ძირითად ობიექტს. კოლორისტიანად მოუფიტრებელი დამოკიდებულების გამო ფერი მაღლ ლის თვალს. ამ შემთხვევაში აქტმის და ათვისების უნარი სუსტდება და ზოგჯერ სრულიად ქრება. ზომაზე მეტად გაფრადებელი გამოსახვა დასამუშაო მხოლოდ მაშინ, როცა გინდა ვადგილოთ ძალზე მრავალფეროვანი სცენები, მაგალითად, სადღესამართლო საღამოები, ფანტასტიკური ეპიზოდები, კარნავალები და სხვ. ამიტომ მეტისმეტად კმაყაზა, უჩვეულო ფერებს უსათუოდ უნდა ვერიდოთ.

თბილისის კინოსტუდიის ოპერატორებმა ათვისებს ფერადი კინოფილმის გადაღების ტექნოლოგია. მაგალითად, ოპერატორმა ვ. ასათიანმა ზღვისა და მწვანე მცენარეულობის ფონზე (გაგრავში) მრავალ სანტიმეტროს მონიჭერ გადაიღო ფილმისათვის „ახალგაზრდობის ალბომი“. ამავე ფილმის ეპიზოდები მან დაიღო წითელ მონიჭერაზე მოსკოვში. მანვე შექმნა ფერადი ნარკვევი „გამარჯებულ ტყეების დან“, რომელსაც თავის დროზე დამსახურებული წარმატება ხვდა. მისივე ნაშუაყარია ფერადი ნარკვევი „სეანების მოეზი“, სადაც ოპერატორმა მოვეცა კომპოზიციის და ფერების კოლორისტიკის მხრით მშვენიერი ფორმარაფია. ფილმი ვადამგებულია ღია, მხიარული, ოპტიმისტური ტონებით; ფერების მხრით ოპერატორმა მოხერხებულად ვადამგებდა მთელი რიგი კარგების ტონალობა.

კარგად ვადიღო ოპერატორმა ა. ფილანავიშნამა სამეცნიერო პოპულარული ფილმი „ამბავი სოფელ ნატანზეზე“, რომელიც სიახეს პეგრის მასურებლის ზაფხულის პეიზაჟების ხვერდოვანი სახედავებით, მოუღვაჯე ფერებით, მწვანით შემოსილი მინდვრებითა და ტბებით. ჩანსა და ციტრუსების ბუნებრივი სიმწვანე ფილმში მეტად მოხერხებულად, ცოცხლად და ბუნებრივად არის ვადამოცემული. ა. ფილანავიშნამ ვადიღო ვადიღო ფერადი ნარკვევი „რიცა — ცისფერი ტბა“. მთელი ნარკვევი ოპერატორმა მშვენიერად ვადიღო, ფერის კოლორითი ჩინებულად და ცოცხლად ყველა კარში.

ოპერატორმა ბ. კრემსმა შექმნა ფერადი დოკუმენტური ფილმი „ამირზე“. აღნიშნულთან ერთად იგი ავიდა ექვსი ათასი მეტრის სინამდვილად, მონუხდავად იმისა, რომ ვადამგა ძველ მეტეოროლოგიურ პირბობებში აწარმოვა, მან კომპოზიციურად და ფერებით მშვენიერად შესრულებული კარგები მოვეცა. ბ. კრემსი ეწეოდა აგრეთვე ფერადი მხატვრული ფილმის „მწვერვალია დამპყრობის“ ვადამგება უშის და მხედლის რაიონში. ალბათ, ბევრს ახსოვს ოპერატორ ბ. კრემსის მეორე ნაშუაყარად ვადამგებელი მისი რელიეფები.

წარმატებით აწარმოებდა ვადამგება სხვა ოპერატორებიც: შ. შოიშვილი, თ. დეკანოზიძე, დ. არზუმანივი, სემიონოვი და სხვ.

საბჭოთა ოპერატორული ისწავლიანი მიაღწია ფილმის გამოსახვის ისეთ ხარისხს, რომელიც დაკმაყოფილებს საბჭოთა მასურებლის მოთხოვნას და მხატვრულ გემომენებას.

ოპერატორული ოსტატობა მოითხოვს შემოქმედების ნიქს, მხატვრულ კულტურას, ფორმის, სინათლის და ფერის გრძნობას, აგრეთვე ფიზიკის, ქიმიის, ტექნიკის ცოდნას, სიანადი ჩვეულებს საწარმოო კინემატოგრაფიულ ტექნოლოგიაში, პროფესიულ უნარიანობას და

შესაფერი საწარმოო ვამოცილებას. მაგრამ ეს ყოველივე უშუალოდ ფერადი ფილმის დასამუშავებლად ტექნიკური ბაზა არა ვაქვს. საბჭოთა კინემატოგრაფიის საერთო მოეკლება მტკიცე ტექნიკური ბაზა ფერადი ფილმების გამოსახვებად. უყანასკნელი წლების მანძილზე ჩვენი ქვეყნის წამყვანი (მოსკოვის, ლენინგრადის და კიევის) კინოსტუდიებში შექმნილია კარგად მოწყობილი ლაბორატორიები ფერადი კინო-ფილმის დასამუშავებად: ვადამგება უახლესი ვამაშევა-დამილ აპარატურით ხორციელდება. ვასულ წელს თბილისში სტუდიამ ვადამგება ფერადი ლაბორატორიის ვადამგება. რომლის მშენებლობა წლებით კინანგრდება. საწმუხაროდ, მას მნიშვნელოვანი დემეტტები აქვს. ამის მიზეზია „თბილისში“, რომელიც ამ შემთხვევაში ძალზე უახსოვსებულად ეკიდებდა თავის საქმეს.

კინოსტუდიის „ქართული ფილმის“ ტექნიკური ბაზა იმდენად ძლიერ არ არის, რომ ადვილად დაძლიდოს სამართხი ფერადი ფილმის დაღმა წელიწადში. მას ბევრი რამ არ ვაჩანია, განსაკუთრებით ფერადი ფილმების წარმოებისათვის.

სტუდიის ბვერი რამ აქლია. 60 ცალი რეალური სანათი პროექტორი რამდენიმე ფერადი ფილმის ვადამგებად საქმარის არ არის. 1954 წლის ვეგმის შესანარეულად თუ მეტად არ, 130 პროექტორი მისი დავეგრძელება. სტუდიას არ აქვს ვამეზობისებულ ვადამგება ამწეები. არა ვაქვს საქმარისად ზოგი აუცილებელი ტექნიკური ხელსაწყო სინტონოლი ვადამგება წარამოეღად სტუდია საწარმოო ვართოვებით (პავლიონებით) უზრუნველყოფილი არ არის და ა. შ. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება აწარად არსწორი და საზიანია.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თბილისის კინოსტუდია უახლეს მანში შეუღდება ფილმის „ჯადოსნური საღამურის“ ვადამგება. შ. მიქაბერიძე ამ ფილმის მთავარ ოპერატორს (რეჟისორ-დამგებელი კ. მიქაბერიძე) დიდი მუშაობა მომღობს. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იქნება მხატვრულად და დამგმელ-რეჟისორთან ერთად ვადამგებო-ტოთ გამოსახვის სტდიის საციხით, რადგანაც ფილმის ზადამგება და ფანტასტიკურობა ვეკარანახებს ფერებისა და სინათლის მთელი რიგი სანტონებს ხერხების ვამოყენებას.

იმისათვის, რომ ამ ფილმი ვამეზობისებულად ფანტასტიკური ელემენტების და კომბინირებული ტრიუქების ვადამგება, უნდა ვამოვიყნოთ საბჭოთა კინემატოგრაფიის მონიწვე ტექნიკა, ვანსაკუთრებით, კომბინირებული ვადამგების დარგი.

კომბინირებული ვადამგება აქტარებს ფილმების წარმოებას და ამცირებს საწარმოო ხარჯებს, აგრეთვე იგი მთავარ ფილმებს ვეაძლევს ვადამგებოთ ზოგი ისეთი კადრი, რომლის მიღება შეუძლებელია მთოღებით შეუძლებელია. „ჯადოსნური საღამურში“ კი ასეთი კადრი ბვერი იქნება.

კომბინირებული ვადამგება ხორციელდება რირაროეკითი (ვადამგება შეტვა), მიხატებით, პერსპექტიული შოვასებით, მკეეტების ვადამგებით და ა. შ. უყანასკნელად კომბინირებულ ვადამგებათა დარგში ყველაზე მნიშვნელოვან მონაგებარს წარმოადგენს გრეთოფილებული „მთარული ნიღბები“. ამ ნიღბების ვამოყენებისათვის საჭიროა სპეციალური ვადამგებო აპარატი, ინფარწითული ეკრანი და სავანაშელები მოწყობილი მცირე ლაბორატორია ინფარ-ფირის დასამუშავებად.

ჩვენს კინოსტუდიის კომბინირებულ ვადამგებასთვის, ეკრალად, „მთარული ნიღბებისათვის“ სპეციალურად მოწყობილი ლაბორატორია არ მოეძებნა, ამიტომ მთელი რიგი რთული კომბინირებული ვადამგება მოსკოვის კინოსტუდიაში მოვეძებნა. ეს უსათუოდ ვამოიწვევს ვადამგებულ ხარჯებს, უნდა მივიღოთ ზომები, რომ ისეთი ლაბორატორია, რაც შეიძლება, მაღლ შეიქმნას თავის სტუდიაში.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფია იქნის შემოქმედებითი კარებით, თავის ფილმებით ვანქმული იყო მიველ კავშირში. მისი სახელი ცნობილი იყო ჩვენი დიდი სამშობლოს სახლებებს ვარეთა.

ქართული კინომუშაოთა პატრიოტული ვალია თავიანი მამოლაოერ ხელეგნებას ვეღვა მოუპოვონ სპეციალთაოთა პოპულარობა. ჩვენ ამას ვეძვედებით. კვლევა მხოლოდ სტუდიის უზრუნველყოფა კარგი სვენარებით და მაღალხარისხოვანი ტექნიკური ბაზით.



მზატ. უჩა ჯაფარიძე

ლუსია უკრაინკა


რუსეთთან უკრაინის შვიტების 300 წლისთავის აღსანიშნავად

მიულ საბჭოთა ხალხთან ერთად ქართველი ხალხი ზეიმით აღნიშნავს რუსეთთან უკრაინის შვიტების 300 წლისთავს. ამ ისტორიულ თარიღთან დაკავშირებით საქართველოში მრავალი ღრისშესანიშნავი ღონისძიება გატარდა. გაიმართა სამეცნიერო სესიები და საზუიშო საღამოები, საქართველოს თეატრებმა დადგეს უკრაინელი დრამატურგების პიესები, შეიქმნა სხვადასხვა სახის მხატვრული ნაწარმოებები და სხვ.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა დადგა უკრაინელი კომპოზიტორის კ. ღანკვეიჩის ოპერა „ბოგდან ხმელნიცი“. სპექტაკლი დაიდგა უკრაინელი და ქართველი ხელოვნების მუშაკების შემოქმედებითი თანამშრომლობით.

საქართველოს სახალხო მხატვარმა პროფ. უ. მ. ჯაფარიძემ დაწერა უკრაინელი ხალხის საამაყო პოეტის ლესია უკრაინკას პორტრეტი. ეს ფერწერული ტილო საქუქრად გადაეცა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიას.

მხატვრული ნაწარმოებები შექმნეს თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმაც. ქანდაკების განყოფილების V კურსის სტუდენტმა მერაბ მერაბიშვილმა ბოგდან ხმელნიციის ბიუსტი გამოქარა, ხოლო ამჟვე განყოფილების IV კურსის სტუდენტმა გივი რუხაძემ — ტრანა შვინციოს ბიუსტი. კერამიკის განყოფილების IV კურსის სტუდენტებმა ფაფურზე შეასრულეს ფერწერული პორტრეტები: გივი ყანდარელმა — ბოგდან ხმელნიციისა, ნარიმან ცურაძემ — ახალგაზრდა ტრანა შვინციოსი. ეს ნაწარმოებები კიევის სამხატვრო ინსტიტუტს გადაეცა სასუქრად



მოქანდაკე მ. მერაბიშვილი ბოგდან ხმელნიცი



მხატვ. პ. ა. ზლოჩევსკი სპექტაკლ „ბოგდან ხმელნიციის“ მე-2 სურათის ესკიზი



„პიკის ქალში“ — დებიუტანტმა გულითადი, წრფელი გრძობითი, შემწიკრული აღიზნა ზეგობრის — პოლინის როლი.



ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელწიფი თეატრის სოლისტი ლილია გიორგაძე

ოცდარი წლის ქალიშვილის ძლიერმა მეც-სობარანომ, ყველა რეგისტრში თანაბრმა ხმამ, იშვიათის სიღამაზის მკერდისმიერმა ბგერებმა — ახალგაზრდა მომღერალს გზა გაუკაფის მსმენელის გულსიკაცა.

ვოკალური და სცენური ნიჭის წყალობით ლილა გიორგაძემ სულ მოკლე ხანში გამოვეთა სახეების მთელი გაღერება, მათ შორის, ლოუბაშა (რამსიკორკარავის ოპერა „მეფის საყლოე“), მარინა შინგუი (მუსორგის „ბორის გოდუნვი“), პოლინა (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“), კარმენი (ბიზეს „კარმენი“), ანერისი (ვერდის „აიდა“), ემილია (ვერდის „ოტელო“), ნენო (ზ. ფალიაშვილის „ლატავრა“) და სხვ.

ახალგაზრდა მომღერლის ფრიად სერიოზული გამოცედა იყო პირველი გამოსვლა „კარმენში“, რადან კარმენის როლი სახე ვოკალურად და სცენურად ერთ-ერთი უაღრესად ძნელ სახეს წარმოადგენს მსოფლიო მუსიკალურ დრამატურიაში.

შესაძლოა, ამ გენიალური ოპერის ცენტრალური როლი პირველ ხანებში ახალგაზრდა მომღერალმა საკმაო სისრულით ვერ გახსნა, მაგრამ იმუშავა რა გულმოდგინედ და ხანგრძლივად როლის სცენური სახის შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფისათვის, მსახიობმა შინგუილოვან წარმატებას მიღწია, ასე, რომ ამჟამად ლ. გიორგაძე თანამად შეიძლება აღიარებულ იქნას ამ როლის ერთ-ერთ საუკეთესო შესრულებლად არა მარტო თბილისის, არამედ მთელ საბჭოთა საოპერო სცენაზე საერთოდ.

სიციცხლის დაუცხრომელი წყურვილი და უსაზღვრო სიხარული, — კარმენის აი რა თვისებები აქვს წინ წამოწეული და ხაზგასმით ნაჩვენები ლ. გიორგაძის ოპერის მთელ მანძილზე პირველი აქტიდან ტანგვიულ ფინალამდე; ეს სწორედ ის თვისებებია, მისთვისაც აგრე რიად უყვარს ეს პოპულარული, გულის ამამტერებელი მელიდობით აღსაქვს ნაწარმოები საბჭოთა მასურებულს.

მკითხაბის სცენაში კარმენის ტრაგიკული შემახილებიცი კი („სივე სიკვდილი მემუქრება“) ვერ კარწყულვებს მასში სიციცხლის იმედს და ერთი წუთითაც სიხარული არ სტოვებს თავისუფლებისმოყვარე მის გულს მამინაც კი, როცა გაგიტეპული დონ-ბოზის ხელით განგმირული სამუდამოდ ეთხოვება წუთისოფდელს.

გარდა ამისა, ლ. გიორგაძე სასცენო მართებულად იქცევა, როცა ხაზს უსვამს კარმენის ქალურ სინაზუს და გაურბის ამ როლის უხუშ ნატურალისტურ განსახიერებას, რაც ასე დამახასიათებელია ამ პარტის ზოგიერთი შესრულებისათვის.

მაღალი მხატვროლი ოსტატობით აღბეჭდა ლილა გიორგაძემ ანერისის სახე ვერდის კლასიკურ ოპერა „აიდაში“. მან გულუზიად, მაგრამ თავყვავებულად, ვარეგნულად სათნი, მაგრამ შურისძიების დაუცხრომელი გრძობით დასვაც ვარაიანის ასული სახე შექმნა. ლ. გიორგაძე-ანერისი თავის მეფერ ძლიერებას, ყოფისშემძლეობას მარტო ვარეგნული, წმინდა პლასტიკური ხერხებით როდი ვამოგვეცხმს, იგი თავის უპირატესობას დიდებულებისა და მასხურების წინაშე სკეთობი ბუნების, ხასიალის შინაგანი ძალით განხილავს. ანერისი კეთილ და მამის მორჩილ ქალიშვილად გვეჩვენება, მკმელსა ცთოქოს არც კი წარმოუდგენია რაიმე პირობების, ფილიფინისა და შრისხანების ჩადენა. მასურებულს სურავა მისი სათნობის, მისი დიდებუბოვნობის, კეთილშობილების. მაგრამ საკამრისია ცოტა რომ გიორგაძის ანერისმა დაკარგოს თავყვავების უნარი: „კეთილი და უმანკო“ მეფის ქალიშვილი არ ინდობს თავის ახლო ვარსში აიდას და ლუბავს თავის ყველაზე საყვარელ აღმამინს რადამეს.

ანერისი ლილა გიორგაძის ერთ-ერთი მხატვრულად და ვოკალურად ზორცხმებული როლია.

უყურებთ ლილა გიორგაძის კარმენსა და ანერისს და გავიონდებათ რუსული საოპერო სცენის სიამაყე ვერა დავიღვა-მუგებლიძის, რომლის არტისტულობამ, სცენურმა მომხიბვლელობამ და დამაყვრებლობამ ასეთი ცხოველმყოფელი გავლენა იქონია ნიჭიერ ახალგაზრდა ქართველ მომღერალზე.

ლ. გიორგაძის არტისტული ინდივიდუალობა კიდევ უფრო მკვეთრად გამომდგნდა რუსი კომპოზიტორების უცედავ ოპერებში — რეალისტური საოპერო ხელოვნების ამ კლასიკურ ნიმუშებში, რომლებზედაც

ხალხის მსახური მომღერალი



ქტობრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ ფართოდ გაულო კარენი ზენს ნიჭიერ ახალგაზრდობას.

უფრო და უფრო ხშირად გვხვდავთ საოპერო სცენაზე ახალგაზრდა ვოკალისტებს, რომლებიც ასრულებენ რა მთავარ საპასუხისმგებლო როლებს, თანამედროვეობის სუნთქვით ავსებენ, სოციალიზმის დიდი ეპოქის სულისკვეთებით სველავენ საქეტკალებს.

